MAC GEORGIA

განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

- 7-დან 18 წლამდე ასაკის, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია/შეუსაბამოა მათი სკოლაში სიარული ან დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა.
- არაუმეტეს 60 ბავშვისა თბილისში, არაუმეტეს 10 ბავშვისა ზუგდიდის, თელავის, საგარეჯოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში;

არაუმეტეს 60 ბავშვისა

- თბილისში

არაუმეტეს 10 ბავშვისა

- ზუგდიდის
- თელავის
- საგარეჯოსა
- და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- კანონიერი წარმომადგენლის მიერ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება;
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- ბავშვის დაბადების მოწმობის, ან პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლი;
- შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2, რომელშიც დიაგნოზის პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10)-ით განსაზღვრული ის ნოზოლოგ(ებ)ი, რომლის საფუძველზეც აღინიშნება ორგანოთა სისტემების მაღალი ხარისხის ფუნქციური დარღვევები და რომელიც იწვევს განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხებას.
- „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის N62/ნ ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს სხვა პირის მუდმივი დახმარების საჭიროება.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

» ბავშვის პირველადი შეფასება და მომსახურების მიწოდება ბინაზე ან საჭიროების შემთხვევაში, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შესაბამისად ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს მომვლელისა და განვითარების სპეციალისტის მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში გეგმის შესაბამისად განსაზღვრული მულტიდისციპლინური გუნდის სათანადო სპეციალისტების (მათ შორის საჭიროებისამებრ: ოკუპაციური თერაპევტი; მეტყველების სპეციალისტი; ფსიქოლოგი; პედიატრი) მომსახურებას.

» განვითარების სპეციალისტი მულტიგუნდთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს:

- ბენეფიციარის შეფასებას და ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას/ განხორციელებას;
- ბენეფიციართა ვერბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა;
- ბენეფიციარისა და ოჯახის წევრებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებასა და მხარდაჭერას;
- ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით საჭირო უნარების განვითარებასა და პოზიტიური ქცევის მხარდაჭერას;
- ბავშვისა და ოჯახის წევრების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

» მომვლელი მულტიგუნდთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს:

- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს;
- ბენეფიციარის მოვლას და დახმარება საკვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;

» 18 წლის ასაკის მიღწევამდე მომსახურება წყდება, თუკი

- მოხდა ბავშვის ჩართვა საგანმანათლებლო სისტემაში ან დღის ცენტრის პროგრამაში - დღის ცენტრის ვაუჩერის მოქმედების თვიდან;
- ბავშვი გადავიდა პალიატიურ ზრუნვაში - აღნიშნულ ზრუნვაში გადასვლის დღიდან ან იმყოფება სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ზედიზედ 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;
- ბავშვი გადავიდა სააღმზრდელო დაწესებულებაში - დაწესებულებაში გადასვლის დღიდან;
- კანონიერი წარმომადგენლის სურვილით;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზით, რაც სცილდება მომსახურების არეალს.

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გადაგებად დაუკავშირდით ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზს - 111

IV-50/2

სამედიცინო ფორმა IV-50/2 გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მოწმობა. აღნიშნულ ფორმაში იქნება განსაზღვრული შესაბამისი ნოზოლოგ(ებ)ი, რაც იწვევს განვითარების მძიმესა და ღრმა შეფერხებას.

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც მიმაჩნია რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

---

2. რომელია პროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციები?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

4. სად ხდება კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის აღება?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 9025

---

5. ვის შეიძლება მივმართო თუ სერვისის მიმწოდებელი უარს ამბობს ჩემს მიღებაზე ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურების მიღება?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11
ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202